ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-03 / 268

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,დანი–აუდიტი“ (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ ძნელაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საკუთარი შემოსავლებით, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის“ ბალანსზე რიცხული საყინულე მაცივრით (შოკით) მომსახურების ტარიფის განსაზღვრის შესახებ აუდიტორული დასკვნის მომზადებასთან (ერთი დასკვნა 2 ეგზემპლარად) დაკავშირებული მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი CPV79212000 – აუდიტორული მომსახურებები), შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 150,00 (ას ორმოცდაათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი.

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღე.

4.2. აუდიტორული დასკვნის (3 ეგზემპლარი) მოწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მისამართის მიხედვით, კერძოდ, მოწოდების ადგილია – ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.№46ა, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს ადმინისტრაციული შენობა, II სართული.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და პროგრამების/ქვეპროგრამების მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ჯაფარიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფასურის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად, წარმოდგენილი ინვოისისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოსაწოდებელი მომსახურების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. მიმწოდებელს მიერ უხარისხო მომსახურების მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 3 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით,

საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების პირობების შერულების კონტროლი

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების შესახებ, წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	შპს ,,დანი–აუდიტი“
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. #46ა	ქ.ბათუმი, ასათიანის მე-3 შეს. № 7
ს/კ 445399391	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“–ს ბანკის კოდი: UGEBGE22 ა/ა № GE91VT5500000043073602 ს/კ 245427550
დირექტორი	დირექტორი
გოჩა ბერიძე	ჯემალ ძნელაძე

Jemal Dzneladze

Подписано цифровой подписью: Jemal Dzneladze
Дата: 2019.12.16 18:29:11 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	საერთო ღირებულება (
1	CPV 79212000 – აუდიტორული მომსახურებები	ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის“ ბალანსზე რიცხული საყინულე მაცივრით (შოკით) მომსახურების ტარიფის განსაზღვრის შესახებ აუდიტორული დასკვნის მომზადება	ეგზემპლარი	2	150,00
საერთო ჯამი				**ლარი**	**150,00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

დირექტორი

გოჩა ბერიძე

შპს ,,დანი–აუდიტი“

დირექტორი

ჯემალ ძნელაძე

Jemal Dzneladze

Подписано цифровой подписью: Jemal Dzneladze
Дата: 2019.12.16 18:29:51 +04'00'